

ზოგადი ხედვა

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ქალაქის განვითარების მთავარი პრიორიტეტები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- სოციალური უზრუნველყოფა;
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- ეკოლოგია.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენური ხედვა/გეგმა (თუკი ასეთი გაქვთ).

მუნიციპალიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, როგორც ფინანსური ისე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. ვფიქრობთ ამ ტიპის მეწარმეობის განვითარება ქალაქის ეკონომიკური განვითარების ერთადერთი წინაპირობაა.

3. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?

ეკონომიკის განვითარების მთავარი შემაფერხებელი არის მსხვილ კომპანიებსა და სახელისუფლებო რგოლს შორის კორუფციული გარიგების შედეგად დამკვიდრებული მონოპოლიური გარემო, რომელიც გამორიცხავს ბაზარზე შედარებით მცირე კომპანიების დამკვიდრებას.

4. თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

თბილისი ქვეყნის დედაქალაქია და შესაბამისად, სხვა ქალაქებთან შედარებით, ეკონომიკური განვითარების ბევრად დიდი პოტენციალი აქვს. თბილისი ქვეყნის ფინანსური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრია. სწორედ ესაა ამ ქალაქის უპირატესობა სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. მნიშვნელოვანია, მოხდეს დედაქალაქის ბიუჯეტის კორექტირება და სწორი პრიორიტეტების განსაზღვრა:

- სოციალური ხარჯების გაზრდა ხელს შეუწყობს ქალაქის ურბანულ განვითარებას;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება მნიშვნელოვნად გაზრდის ქალაქის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელს;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

ჩვენი პროგრამის მიხედვით, არ იგეგმება ახალი მოსაკრებლების დაწესება. პროგრამა ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ეფექტურ მართვაზე, რაც გულისხმობს დღეს არსებული, გაუმართლებელად მაღალი ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციას. მაგალითისთვის, ამჟამინდელი მმართველობის პირობებში თბილისის მერიის მოხელეთა ხელფასებზე გაწეული ხარჯი 44 მლნ ლარიდან (2014 წელი) გაიზარდა 86 მლნ ლარამდე (2017 წელი). ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს ისეთ არაპრიორიტეტულ პროექტებს, როგორცაა „იურიდიული კლინიკა“, „ვერტიკალური ბაღები“, „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებისთვის“ ტრენინგების და კვლევების მოწყობა და სხვ. ჩვენი ბლოკი გეგმავს მერიის ბიუჯეტის პრიორიტეტების ოპტიმიზაციას. აღნიშნული პირველ ეტაპზე გამოიწვევს 50 მლნ ლარის გამოთავისუფლებას, რაც მიმართული იქნება სოციალური პროექტების დაფინანსებისკენ და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისკენ.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

[ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა](#)

7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეთათვის?

რეგიონულ ცენტრებში არსებული დეპრესიული მდგომარეობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს თბილისზეც. ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ დედაქალაქის დეურბანიზაციას, კონკრეტულად: ადმინისტრაციული დაწესებულებებისგან ქალაქის განტვირთვას და ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობებზე მორატორიუმის გამოცხადებას. თბილისის დეურბანიზაცია, ერთის მხრივ ხელს შეუწყობს სხვა ქალაქების განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ დედაქალაქს განტვირთვას და ეკონომიკურად განავითარებს.

8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

[ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი](#)

9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისათვის?

ჩვენი ბლოკის გამარჯვების შემთხვევაში, ეტაპობრივად მოხდება მიკროავტობუსების სრული ჩანაცვლება ავტობუსებით, როგორც ეს არის ევროპის და სხვა განვითარებულ ქალაქებში. მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ახალი მეტრო-სადგურების მშენებლობას. მეტრო გახდება ყველასთვის კომფორტული და ხელმისაწვდომი ტრანსპორტი.

10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

11. რა ღონისძიებებს გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის?

ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებაში, ასევე მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელებზე მოეწყობა პანდუსები შშმ პირთა შეუფერხებელი გადაადგილებისთვის. ყველა შუქნიშანი აღიჭურვება ხმოვანი სიგნალით, რათა უსინათლო მოქალაქეებმა დამოუკიდებლად შეძლონ ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა. ახალ მშენებლობებზე ნებართვის გაცემისას ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნება შშმ პირთა გადაადგილებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტით გათვალისწინება.

კულტურა და განათლება

12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

13. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ნიჭიერ სტუდენტებს, რომელთაც მიღებული აქვთ არანაკლებ 50%-იანი გრანტი, თვითმმართველობა დაუნიშნავს სტიპენდიას და სრულად დაუფარავს განათლების საფასურს. გადაიხედება სკოლების და ბაღების პრივატიზაციის ხელშეკრულებები. მოკვლეული მასალები გადაეგზავნება პროკურატურას.

უსაფრთხოება და კრიმინალი

14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

ქალაქის ქუჩები აღიჭურვება თანამედროვე ტიპის უსაფრთხოების ინფრასტრუქტურით, რაც გააიოლებს კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლას და მოახდენს დანაშაულის პრევენციას.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის იზრუნებთ ქალაქში?

- შეჩერდება ვალაუვალი მოქალაქეების გამოსახლება საცხოვრებელი ფართებიდან. მუნიციპალური ბიუჯეტის კორექტირების შედეგად მიღებული სახსრებით შეიქმნება რესტრუქტურიზაციის ფონდი, რომელიც შეისყიდის აუქციონზე გამოტანილ უძრავ ქონებას, გამოსყიდვის უფლებით გადასცემს მოვალეს და დაუწესებს 10 წლიან უპროცენტო გადახდის გრაფიკს. გაიზრდება ჯანდაცვისა და უფასო სასადილოებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ხარჯები.
- თვითმმართველობის სოციალური სამსახურები გადაამოწმებენ თუ რამდენად სამართლიანად მიენიჭებათ ქულები სოციალურად დაუცველებს სახელმწიფო სააგენტოს მიერ.
- მოეწყობა სოციალური სახლები უსახლკაროებისთვის, დევნილებს დაუკანონდებათ მიწის ნაკვეთები.
- თვითმმართველობა ოთხ და მეტშვილიან ოჯახებს უსასყიდლოდ გადასცემს საცხოვრებელ ფართს საკუთრებაში.
- საწვავი და მედიკამენტები გაიყიდება რეალურ საბაზრო ფასებში, რაც ზოგიერთ ფართო მოხმარების პრეპარატზე გამოიწვევს ფასის 80%-ით შემცირებას. თვითმმართველობა მოიწვევს საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებს, რომელიც შეამოწმებს თუ რამდენად შეესაბამება ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის ტარიფი რეალურ თვითღირებულებას.
- მეტროთი მგზავრობა ყველა სოციალურად დაუცველისთვის იქნება უფასო.

16. რა ღონისძიებებს განახორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად თქვენს ქალაქში?

გაიზრდება ჯანდაცვისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ხარჯები. მედიკამენტები გაიყიდება რეალურ საბაზრო ფასებში, რაც ზოგიერთ ფართო მოხმარების პრეპარატზე გამოიწვევს ფასის 80%-ით შემცირებას

17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

მოეწყობა სოციალური სახლები უსახლკაროებისთვის, დევნილებს დაუკანონდებათ მიწის ნაკვეთები.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ყველა ავტომანქანა აღჭურვილი იქნება კატალიზატორით. დამონტაჟების ხარჯებს კი თვითმმართველობის ბიუჯეტი დაფარავს. 2017 წლის 1 ნოემბრიდან სახელმწიფო შესყიდვა გამოცხადდება მხოლოდ ელექტრომობილებზე.

19. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

რეკრეაციული ზონების მოწყობა ქალაქში გამოცხადდება მთავარ პრიორიტეტად. თბილისის ჯერ კიდევ აუთვისებელი ტერიტორიების 50% გამოყენებული იქნება ამ მიზნით.

20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

თბილისი

1. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების უსაფრთხოებისა და კომფორტის გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

2. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგების და საცობების შემცირების მიზნით?

გაუქმდება „სი-ტი პარკთან“ დადებული ხელშეკრულება. ახალი ხელშეკრულებით კონტრაქტორ კომპანიებს ექნებათ არა ჯარიმების ადმინისტრირების, არამედ ავტოსადგომების მოწყობის ვალდებულება.

3. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ უპატრონო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

4. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების დარეგულირებისათვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

5. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

6. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.